



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

### თავფურცელი

- თავი I - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; .....
- თავი II - სწავლის შედეგების რუქა; .....
- თავი III - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა; .....
- თავი IV - ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის .....  
განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და სასწავლო რესურსის  
შესახებ;
- თავი V - ჩვენი გამოცდილება .....
- თავი VI - სწავლის შედეგები – მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით; .....
- თავი VII - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება; .....
- თავი VIII - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი (დანართი №1) ; ..
- თავი IX - პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; .....



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

თავი I პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

1	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; საკონტაქტო ინფორმაცია	პრაქტიკოსი ექთანი მისამართი: გურამიშვილის გამზირი 72; ვებ. გვერდი: www.manandnature.ge ტელეფონი: 995 322 261 01 89
2	საფეხური და სწავლების ენა	მეხუთე საფეხური; ქართული
3	დაშვების წინაპირობა;	დაწესებულებაში ჩაირიცხება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს სრული ზოგადი განათლების კურსი და გაივლის გასაუბრებას. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის დამადასტურებელი დოკუმენტის და დაწესებულების შესაბამისი აქტით განსაზღვრული სხვა დოკუმენტების წარმოდგენისა და გასაუბრების წარმატებით გავლის შემდეგ პირი მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
4	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია
5	პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში/ECTS	1 კრედიტი 25 საათია. პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 150 კრედიტს - 3750სთ. კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად: 90 კრედიტი (2250 სთ)- თეორიის კომპონენტი და 60 კრედიტი (1500 სთ) პრაქტიკის კომპონენტი, რომელიც თავის მხრივ იყოფა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკად.
6	შინაარსი	პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის პროფესიულ-საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია პრაქტიკოსი ექთნის სტანდარტის შესაბამისი ცოდნის მისაღებად.



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

		<p>საგანმანათლებლო პროგრამა შედგება 24 სასწავლო კურსისგან. ის მოიცავს თეორიულ სწავლებასთან ერთად, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას თბილისის წამყვან საავდემყოფოებში, შინმოვლის სამსახურებში, ჰოსპისა და ამბულატორიაში. პროგრამა ითვალისწინებს შინ მოვლის კომპონენტსაც, რაც პროფესიულ სტუდენტს უვითარებს არამარტო სტაციონარსა თუ ამბულატორიაში მუშაობის უნარებს, არამედ აძლევს სხვადასხვა სიტუაციებში მოვლის პრაქტიკულ ცოდნასაც. ყოველივე ეს ხელს შეუწობს მეხუთე საფეხურის პრაქტიკოს ექთანს სწავლის პროცესში ჩამოიყალიბოს გარკვეული დამოუკიდებლობით მუშაობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. ჩვენი აზრით, ამ სასწავლო პროგრამის გავლის შემდეგ ჯანდაცვის სისტემა შეივსება მნიშვნელოვანი რგოლით, რომელიც ავადმყოფის კვალიფიციურ მოვლაზეა ორიენტირებული. პროგრამით გათვალისწინებულ საწარმოო პრაქტიკას პროფესიული სტუდენტები გაივლიან ისეთ წარმატებულ სამედიცინო ორგანიზაციებში, რომელთა ჩამონათვალს იხილავთ „თანამშრომლობის მემორანდუმი“-ს ნაწილში.</p>
7	მიზანი	<p>პროფესიული პროგრამის მიზანია ჯანდაცვის სფეროში საექთნო საქმის პროფესიონალი კადრების აღზრდა, რომლებიც ნებისმიერი ასაკის ინდივიდის, ოჯახების, მოსახლეობის, სხვადასხვა ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვის და დაავადებათა პრევენციის, ჯანმრთელობის აღდგენა-შენარჩუნებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვის პროცესებში მონაწილე პირები იქნებიან. პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი კადრის აღზრდას, რომლის საქმიანობა მოიცავს ავადმყოფთა,</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

		<p>შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ანდა ტერმინალურ პაციენტთა მოვლასა და მართვას. საექთნო საქმის თეორიის, საბაზისო სამედიცინო მეცნიერებების ცოდნისა და ძირითადი კლინიკური უნარების პრაქტიკაში გამოყენების მეშვეობით პრაქტიკოსი ექთანი ადექვატურად უნდა პასუხობდეს მოსახლეობის ჯანდაცვის მუდმივად ცვლად საჭიროებებს.</p>
8	<p><b>პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა); სწავლების მეთოდები</b></p>	<p>პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა მოიცავს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ლექციაზე დასწრება;</li> <li>➤ სამუშაო ჯგუფში მუშაობა;</li> <li>➤ პრაქტიკა (სასწავლო და საწარმოო);</li> <li>➤ დამოუკიდებელი მეცადინეობა;</li> <li>➤ გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარება.</li> </ul> <p>სწავლების მეთოდი ითვალისწინებს:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ ლექცია – შესაბამისი მასალის ახსნას, თეორიულ სწავლებას ლიტერატურის, ან/და სალექციო კურსებით, ან/და საპრეზენტაციო საშუალებების გამოყენებით;</li> <li>➤ სამუშაო ჯგუფში მუშაობა – ახსნილი მასალის ირგვლივ კითხვა-პასუხი, დისკუსია, შემთხვევა-მაგალითების განხილვა; 3-კაციან ჯგუფებში მუშაობა ფუნქციურ საწოლთან სადემონსტრაციო ოთახში მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ ან/და დამოუკიდებლად;</li> <li>➤ პრაქტიკა – თეორიული ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული დავალებების შესრულება სიმულირებულ (სასწავლო) და რეალურ (საწარმოო) გარემოში;</li> <li>➤ დამოუკიდებელი სამუშაო – ახსნილი მასალის, მითითებული სასწავლო მასალიდან, თეორიული ცოდნის გამყარება; გავლილ მასალაზე პრეზენტაციის მომზადება, შუალედური შეფასებისა და</li> </ul>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

		დასკვნითი გამოცდისათვის მომზადება.
9	<p><b>პროფესიული სტუდენტის ცოდნის შეფასება</b></p> <p><b>სასწავლო კურსზე/პრაქტიკაზე მიღებული უარყოფითი შეფასების შედეგები</b></p>	<p>სასწავლო კურსის/ პრაქტიკის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება დაყოფილია ორ ნაწილად: შუალედური შეფასება და დასკვნითი გამოცდა. (იხ. სილაბუსებში)</p> <p>შეფასების მეთოდი:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>➢ დავალების შესრულების ხარისხი ( წერილობითი ან/და ზეპირი);</li> <li>➢ აქტივობა;</li> <li>➢ პრაქტიკული დავალების შესრულება;</li> <li>➢ დასწრება;</li> <li>➢ ტესტი;</li> </ul> <p>შეფასების სისტემა უშვებს:</p> <p>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</p> <p>(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;</p> <p>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.</p> <p>(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება დაუშვებელია.</p> <p>პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

		<p>გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, არანაკლებ 10 დღეში.</p> <p>თუ დამატებით გამოცდაზე პროფესიულმა სტუდენტმა ვერ გადალახა ბარიერი და მიიღო უარყოფითი შეფასება მას:</p> <p>ა) ან შეუჩერდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი მომავალი ახალი ჯგუფის დაკომპლექტებამდე;</p> <p>ბ) ან ინდივიდუალურად გაივლის პროფესიულ საგან-მანათლებლო პროგრამას, რისთვისაც დაეკისრება დამატებით ფინანსური ვალდებულება;</p> <p>გ) ან ისარგებლებს მობილობის უფლებით. პროფესიული სტუდენტი თავად იღებს გადაწყვეტილებას ზემოთ ჩამოთვლილი სამი პირობიდან ერთ-ერთზე.</p>
10	დასაქმების სფერო	<p>პროფესიული კოლეჯის კურსდამთავრებულთათვის ერთ-ერთ დამსაქმებელს წარმოადგენს;</p> <p>➤ ა (ა) ი პ "ადამიანი და ბუნება" -ს შინამოვლის სამსახური, რომელიც 1998 წლიდან დღემდე არსებობს და საქართველოში არსებული შინამოვლის კოალიციის ერთ-ერთი დამფუძნებელია; ასეთივე პერსპექტიულ დამსაქმებელს წარმოადგენს</p> <p>ა (ა) ი პ "ადამიანი და ბუნება" -ს პარტნიორი ორგანიზაციები:</p> <p>➤ კავშირი "ონკოპრევენციის ცენტრი" -ს პალიატიური მზრუნველობის კლინიკა;</p> <p>➤ ფონდი "თაობა",</p> <p>➤ მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო;</p> <p>➤ ა (ა) ი პ "კოალიცია შინამოვლა საქართველოში";</p> <p>➤ საზოგადოებრივი მხარდაჭერისა და ეროვნული თვითგანათლების ქართული კავშირი (ასოციაცია) "გენეზისი".</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

		<p>2007 წლიდან ”კოალიცია შინმოვლა საქართველოში” ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანია საქართველოსთვის შინმოვლის ოპტიმალური მოდელის ჩამოყალიბება საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით. პროექტის ფარგლებში დაგეგმილია 3 გეოგრაფიული მოდელის შემუშავება და გამოცდა დიდი ქალაქის, პატარა ქალაქისა და სოფლისათვის. არსებული პროექტის წარმატებულად ჩართვა (მუშაობა მიმდინარეობს საკანონმდებლო დონეზე) საქართველოში მიმდინარე ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის რეფორმების პროცესში მოთხოვნას ექთნის თანაშემწის კვალიფიკაციის მქონე ადამიანებზე მკვეთრად გაზრდის არა მარტო თბილისში, არამედ მთელი საქართველოს რეგიონებში. გარდა შინმოვლის სამსახურების პროფესიონალური კოლეჯის კურსდამთავრებულთა დასაქმება შესაძლებელია კლინიკებში, ბავშვთა სახლებში, მოხუცებულთა თავშესაფრებში, ჰოსპისებში და შეზუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან მომუშავე ორგანიზაციებში.</p>
11	<p>თანაშრომლობის მემორანდუმი</p>	<ul style="list-style-type: none"> <li>➤ კავშირი ”ონკოპრევენციის ცენტრი” -ს პალიატიური მზრუნველობის კლინიკა;</li> <li>➤ ფონდი ”თაობა”,</li> <li>➤ მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფო;</li> <li>➤ ა (ა) ი პ ”კოალიცია შინმოვლა საქართველოში”;</li> <li>➤ აკად. გ.ჩაფიძის სახ. გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი;</li> <li>➤ თბილისის ღია უნივერსიტეტი;</li> <li>➤ საქართველოს ექთნების ასოციაცია;</li> <li>➤ შპს ”თერაპიის სახლი”;</li> </ul>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

		<ul style="list-style-type: none"> <li>➤ შპს „ნეიროგანვითარების ცენტრი“</li> <li>➤ წმ. მიქაელის სახ. თავისუფალი პედაგოგიკის ცენტრი</li> </ul>
12	მობილობა	<p>დაწესებულებაში მეხუთეე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პრაქტიკოსი ექთნის მობილობით გადმოსვლა შესაძლებელია სასწავლო კურსის ”კომპიუტერული უნარები” და ”მათემატიკის საფუძვლები“-ს დასრულებისა და სასწავლო კურსის ”კერძო სწავლებები” დაწყებამდე.</p> <p>ჩარიცხვის პროცედურა დასრულდება ჩამოთვლილი სასწავლო კურსების დაწყებამდე 5 სამუშაო დღით ადრე.</p> <p>მობილობის ზუსტი ვადები განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე.</p> <p>განცხადებაში მითითებული იქნება დოკუმენტაციის მიღების წესი და ვადა.</p> <p>წარმოსადგენი დოკუმენტაცია:</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. განაცხადი (განაცხადის ფორმა განთავსებულია დაწესებულების ვებ-გვერდზე);</li> <li>2. პირადობის მოწმობის ასლი;</li> <li>3. ერთი ფოტოსურათი 3x4;</li> <li>4. ჩარიცხვის ბრძანება;</li> <li>5. სასწავლო ბარათი (განვლილი სასწავლო კურსების ჩამონათვალი და მოპოვებული კრედიტების რაოდენობა).</li> </ol> <p>მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესს წყვეტს სამეთვალყურეო საბჭო ინდივიდუალურად.</p> <p><u>მობილობით გადამსვლელთა საყურადღებოდ!</u> გადასვლა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, თუმცა რეკომენდირებულია თითოეული სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ.</p>





ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

თავი II სწავლის შედეგების რუკა

სასწავლო კურსები	მიღწეული კომპეტენციები					
	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის გაკეთების უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1. კომპიუტერული უნარები	×	×		×	×	
2. უცხო ენა (ინგლისური) - 1	×	×		×	×	
3. უცხო ენა (ინგლისური) - 2	×	×		×	×	
4. მათემატიკის საფუძვლები	×	×				
5. ავადმყოფის მოვლა-1	×	×	×	×	×	×
6. ავადმყოფის მოვლა-2	×	×	×	×	×	×
7. ბიოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია	×		×			×
8. სპეციალობასთან დაკავშირებული ქიმია და ფიზიკა	×	×	×			
9. ზოგადი და კერძო სწავლებები	×	×	×			
10. ჰიგიენა და სამედიცინო მიკრობიოლოგია	×	×	×			
11. ჰიგიენა	×	×	×			
12. ფსიქოლოგია-სოციოლოგიის საფუძვლები	×	×	×	×		×
13. ზოგადი ფარმაკოლოგია	×	×	×		×	
14. ფარმაკოლოგია	×	×	×		×	
15. ქირურგიის საფუძვლები	×	×	×		×	



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

თავი III პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

16. მეან-გინეკოლოგიის საფუძვლები	×	×	×		×	
17. პედიატრიის საფუძვლები	×	×	×		×	
18. ნევროლოგიის საფუძვლების	×	×	×		×	
19. ფსიქიატრიისა და გერიატრიის საფუძვლები	×	×	×		×	
20. რელიგიის ისტორია				×		×
21. პირველადი გადაუდებელი დახმარება	×	×	×		×	
22. სასწავლო პრაქტიკა -1		×	×	×		×
23. სასწავლო პრაქტიკა - 2		×	×	×		×
24. საწარმოო პრაქტიკა		×	×	×		×



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

კომპონენტების (სასწავლო კურსის/მოდულის)	პრედიტების რაოდენობა	საათების განაწილება					დამოუკიდებელი მუშაობის საათები	სულ საათების ოდენობა
		ლექცია	სამუშაო ჯგუფი	შუალედური და საბოლოო ცოდნის შეფასება	სასწ. პრაქტიკა	საწარ. პრაქტიკა		
1. კომპიუტერული უნარები	2	16 სთ	8 სთ	6 სთ	-	-	20 სთ	50 სთ
2. უცხო ენა (ინგლისური)-1	8	64 სთ	64 სთ	16 სთ	-	-	56 სთ	200 სთ
3. უცხო ენა (ინგლისური)-2	5	48სთ	24სთ	8სთ			45სთ	125 სთ
4. მათემატიკის საფუძვლები	1	5 სთ	5 სთ	4 სთ	-	-	11 სთ	25 სთ
5. ავადმყოფის მოვლა-1	16	138სთ	89 სთ	16 სთ	-	-	157 სთ	400 სთ
6.ავადმყოფის მოვლა-2	16	140სთ	86სთ	14სთ			160 სთ	400 სთ
7. ბიოლოგია, ანატომია, ფიზიოლოგია	12	110 სთ	55სთ	10სთ	-	-	125 სთ	300 სთ
8.სპეციალობასთან დაკავშირებული ქიმია და ფიზიკა	1	10 სთ	5 სთ	4 სთ	-	-	6 სთ	25 სთ
9. ზოგადი და კერძო სნეულებები	7	86 სთ	32 სთ	10 სთ	-	-	47 სთ	175 სთ
10. ჰიგიენა და სამედიცინო მიკრობიოლოგია-1	2	18 სთ	12 სთ	4 სთ	-	-	16 სთ	50 სთ
11.ჰიგიენა-2	2	25სთ	10სთ	4სთ			11სთ	50 სთ
12. ფსიქოლოგია- სოციოლოგიის საფუძვლები	2	25 სთ	10 სთ	4 სთ	-	-	11 სთ	50 სთ
13.ზოგადი ფარმაკოლოგია-1	1	10 სთ	5 სთ	4 სთ	-	-	6 სთ	25 სთ
14.ფარმაკოლოგია2	2	18სთ	12სთ	6სთ			14სთ	50 სთ
15. ქირურგიის საფუძვლები	2	25 სთ	10 სთ	4 სთ	-	-	11 სთ	50 სთ
16. მეან- გინეკოლოგიის	2	25 სთ	10 სთ	4 სთ	-	-	11 სთ	50 სთ



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

საფუძვლები								
17. პედიატრიის საფუძვლები	2	20 სთ	10 სთ	4 სთ	-	-	16 სთ	50 სთ
18. ნევროლოგიის საფუძვლები	2	20სთ	10სთ	4 სთ	-	-	16 სთ	50 სთ
19. ფსიქიატრიისა და გერიატრიის საფუძვლები	2	20 სთ	10 სთ	4 სთ	-	-	16 სთ	50 სთ
20.რელიგიის ისტორია	1	9სთ	9სთ	2სთ			5 სთ	25 სთ
21. პირველადი გადაუდებელი დახმარება	2	20 სთ	10 სთ	4 სთ	-	-	16 სთ	50 სთ
22. სასწავლო პრაქტიკა -1	17	-		25 სთ	400სთ	-	-	425 სთ
23. სასწავლო პრაქტიკა-2	18			30სთ	420სთ			450 სთ
24.საწარმოო პრაქტიკა	25	-	-	43სთ		582 სთ	-	625 სთ
ჯამი	150	852 სთ	486 სთ	234 სთ	820 სთ	582 სთ	776 სთ	3750 სთ

თავი IV ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და სასწავლო რესურსის შესახებ

სახელი, გვარი	სასწავლო კურსი	კვალიფიკაცია/საკონტაქტო ინფორმაცია
გიორგი ხუბულური	კომპიუტერული უნარები	საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტი („PC Führerschein“); 995 591 61 61 18
თამარ მამალაძე	უცხო ენა (ინგლისური)	ინგლისური ენის პედაგოგი; 995 599733316



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

ფატმან ანდრიაშვილი	მათემატიკის საფუძვლები	მათემატიკის პედაგოგი; 995 322 57 49 50
მერი ვაშაკიძე ნინო მეშვილდიშვილი თამარ კანთელაძე	ავადმყოფის მოვლა - თეორიული კურსი და სასწავლო პრაქტიკა	მერი ვაშაკიძე - მედდის საქმე; ტელ: 995 593 63 2285 ნინო მეშვილდიშვილი - მედდის საქმე; ტელ: 995 593 63 21 30 თამარ კანთელიძე - მედდის საქმე; ტელ: 995 595 50 52 81
ქეთევან გარსევანიშვილი	ავადმყოფის მოვლა - საწარმოო პრაქტიკა	ქეთევან გარსევანიშვილი - მედდის საქმე; ტელ.: 995 577 119199
ლალი ანდრიაშვილი ლია ბულაძე თამარ ვაშაკიძე	კერძო სწეულებები, პედიატრია	ლალი ანდრიაშვილი - მედიცინის დოქტორი; ტელ: 995 599949487 ლია ბულაძე - ექიმი-პედიატრი; ტელ.: 995 599109502 თამარ ვაშაკიძე - ექიმი; ტელ.: 995 599530714
ლალი ზაქარიაძე	ჰიგიენა და სამედიცინო მიკრობიოლოგია	ლალი ზაქარიაძე - ჰიგიენა, სანიტარია და ეპიდემიოლოგია; ტელ: 995571 541172
ნათია წერეთელი	ფსიქოლოგია-სოციოლოგიის საფუძვლები	ნათია წერეთელი - ფსიქოლოგი; ტელ: 995 599 906150
ალექსანდრე გორდელაძე	ქირურგიის საფუძვლები	ალექსანდრე გორდელაძე - მედ. დოქტორი; ტელ.: 995 599550525
ხათუნა ბურდული	მეან-გინეკოლოგიის საფუძვლები	ხათუნა ბურდული - მეან- გინეკოლოგი; ტელ.: 995 599509820
ბესიკ ვაშაკიძე	ნევროლოგიის საფუძვლები	ბესიკ ვაშაკიძე - ექიმი- ნევროლოგი; ტელ.: 995 599 580405
ნესტან დუდუჩავა	ფსიქიატრიის და გერიატრიის საფუძვლები	ნესტან დუდუჩავა - ფსიქიატრი , ტელ.: 995 599 570851



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

ანანო გაგუა	ფარმაკოლოგია	ფარმაცევტი; 995 57715183
მარინა კაჭარავა	რელიგიის ისტორია	ისტორიკოსი 593382955
მარიამ ბურდული	პირველადი გადაუდებელი დახმარება	მარიამ ბურდული - გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სპეციალისტი. ტელ.: 995 599 24 12 22
იოსებ აბესაძე	საწარმოო პრაქტიკა -ავადმყოფის პალიატიური მოვლა- მზრუნველობა	იოსებ აბესაძე - ექიმი/პალიატიური მედიცინის სპეციალისტი; ტელ.: 995 599 900319
ირინე მირზაშვილი	საწარმოო პრაქტიკა -ავადმყოფის მოვლა ბინაზე	ირინე მირზაშვილი - მედდის საქმე; ტელ.: 995 599261799
ლალი ზაუტაშვილი	სასწავლო პრაქტიკა - ავადმყოფის მოვლა	ლალი ზაუტაშვილი - ბიოლოგისა და ქიმიის პედაგოგი; ტელ: 995 599 2024 95;

თავი V ჩვენი გამოცდილება

თარიღი	პროგრამის სახელწოდება	დამფინანსებელი ორგანიზაცია
2010 – 2011	საექთნო სახელმძღვანელოს თარგმანი გერმანულიდან ქართულ ენაზე და მისი გამოცემა	ანთროპოსოფიული მოვლის საერთაშორისო ფორუმი
2009 – 2010	ტენდერში გამარჯვების შედეგად გადამზადება გაიარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან 500-ზე მეტმა ოჯახის ექთანმა სასწავლო კურსით "პაციენტის ბინაზე მოვლის უნარ-ჩვევები ექთნებისათვის", პროექტის "პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის" ფარგლებში	ევროკავშირის გრანტით - შემკვეთი: სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმხორციელებელი ცენტრი"
2009 –	პროექტი: "შინ მოვლის განვითარება	➤ საქველმოქმედო ფონდი



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

2010	საქართველოში	„კორდაიდი“ (ჰოლანდია) ➤ საქველმოქმედო ფონდი „დიაკონიშეს ვერქ“ (გერმანია)
2002 – 2008	პროექტი: „შინ მოვლის სამსახურისა და საექთნო სწავლების დივერსიფიცირება“	საქველმოქმედო ფონდი „კორდაიდი“ (ჰოლანდია)
2000 – 2001	პროექტი: „შინმოვლის სამსახურის განვითარება“	ფონდი „ღია საზოგადოება“ საქართველო
2001	პროექტი: „საექთნო სწავლების და შინმოვლის სამსახურის განვითარება“	საქველმოქმედო ფონდი სოფტვეარ აგ (გერმანია)
1999 – 2000	პროექტი: „შინ მოვლის სამსახური, ექთანთა საბაზისო და დიპლომისშემდგომი განათლება“	ევროკავშირის ტასის / ლიენ პროექტი

თავი VI სწავლის შედეგები – მისაღწევი შედეგები შესაბამისი კომპონენტების მიხედვით

ცოდნა და გაცნობიერება	<p>პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი და სპეციალიზირებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობების გაცნობიერება;</p> <p>აქვს საექთნო საქმისთვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და კლინიკური უნარ-ჩვევები, რის საფუძველზეც წარმატებით და გაცნობიერებულად ასრულებს პრაქტიკოსი ექთნის პროფესიულ როლს, მისიას და ფუნქციებს; იცის და გაცნობიერებული აქვს საექთნო საქმის ძირითადი ღირებულებები, ეთიკური და სამართლებრივი ასპექტები, ასევე იცის საექთნო საქმის სოციალური, კულტურული, სულიერი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ასპექტები; იცნობს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემას და გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის დანიშნულება; იცნობს უსაფრთხოების წესებს, ინფექციის კონტროლის პრინციპებს და გაცნობიერებული აქვს ამ პრინციპების დაცვის აუცილებლობა უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• უზრუნველყოფს პაციენტთა ტრიაჟს, პირველად საექთნო შეფასებას და მონიტორინგს;</li> <li>• ფლობს გადაუდებელი მედიცინის საფუძვლებს (BLS, ACLS, PHTLS,</li> </ul>
-----------------------	--



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

	<p>ATLS);</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იცნობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს;</li> <li>• იცნობს ინფორმაციის რეგისტრაციის, შენახვისა და გავრცელების პრინციპებს;</li> </ul> <p>გაცნობიერებული აქვს პრაქტიკოსი ექთნის როლი ჯანმრთელობის ხელშეწყობასა და უზრუნველყოფაში, როგორც ინდივიდუალურად, ასევე მულტიდისციპლინურ პროფესიულ გუნდში საქმიანობის კონტექსტში;</p> <p>იცის მართვისა და ლიდერობის ძირითადი პრინციპები;</p>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p><b>შეუძლია:</b></p> <p>შემეცნებითი და პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრის გამოყენება აბსტრაქტული პრობლემების შემოქმედებითად გადასაწყვეტად.</p> <p>სტაბილურ გარემოში გარკვეული დამოუკიდებლობით შეასრულოს წინასწარ განსაზღვრული დავალებები, ძირითადი მეთოდების, ინსტრუმენტებისა და მასალების გამოყენებით;</p> <p>პაციენტის ოპტიმალური, კომპორტული და ეთიკური მოვლის მაღალი ხარისხით უზრუნველყოფა;</p> <p>პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის ნორმისა და დევიაციის ნიშნების ამოცნობა, ტრიაჟი და პირველადი საექთნო შეფასება, ადექვატური ინტერპრეტაცია და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შესაბამისი ქმედებები განხორციელება;</p> <p>პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაწევა;</p> <p>მარტივი კომპიუტერული და პროგრამული პრობლემების გადაჭრა;</p> <p>ინგლისურ ენაზე მიღებული პროფესიასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავება; კლინიკური უნარ-ჩვევების დემონსტრირება, საექთნო შეფასების, პრობლემის იდენტიფიცირება; სასწავლო პრაქტიკის განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე შეძლებს რეალურ გარემოში როგორც პაციენტთან, ასევე მის ახლობლებსა და სამედიცინო გუნდის სხვა წევრებთან გამართულ ურთიერთობას ეთიკის ნორმების დაცვით; პაციენტის ღირსების, უფლებების დაცვა, ადვოკატირება და ასოცირებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;</p> <p>შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოება, შენახვა, დაცვა, გადაცემა და გავრცელება;</p> <p>მოვლის დაგეგმვა და მოვლის პროცესის მოდელირება პაციენტის მდგომარეობის, ასაკის და დაავადების გათვალისწინებით; საკუთარი თავის დაცვა სხეულებრივი და მენტალური პრობლემებისაგან პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს (განსაკუთრებით ინფექციის კერაში მუშაობისას); შეხების განსაკუთრებული უნარების ჩამოყალიბება; ტერმინალურ ფაზაში</p>





ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

	<p>მყოფი პაციენტზე მოვლა-მზრუნველობა; სტაციონარში და ბინის პირობებში პაციენტის მოვლა;</p> <p>პაციენტის სხვადასხვა ინვაზიური და არაინვაზიური პროცედურების მოვლა და წარმოება;</p> <p>სამკურნალო საშუალებების შენახვა, დარიგება, ორგანიზმში შეყვანა და წამლების ორგანიზმზე მოქმედების გვერდითი ეფექტების გათვალისწინება; მასზე დელეგირებული სამკურნალოწამლო და სამედიცინო ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საშუალებათა დანიშნულებისამებრ გამოყენება, შენახვა და გამოყენებული მასალის მასალის განადგურება წესების დაცვით; ცალკეულ დაავადებათა მიმდინარეობისა და თავისებურებების გათვალისწინება; დეზინფექციის ჩატარება; სანიტარული ნორმების დაცვა; პაციენტის მოვლა ასეპტიკისა და ანტისეპტიკის გათვალისწინებით; პაციენტს ასწავლოს საკუთარი თავის მომსახურება და მოვლა; გინეკოლოგიური დაავადებების ზოგადი არსის გათვალისწინება და გართულებების პროფილაქტიკა; გარკვეული დამოუკიდებლობით მელოგინე ქალის მოვლა; სხვადასხვა დაავადების სიმპტომო-კომპლექსების ამოცნობა; ავადმყოფი ბავშვის მოვლისას პედიატრიის საფუძვლების გათვალისწინება; ნევროლოგიურ დაავადებათა სიმპტომების ამოცნობა და შესაბამისი მოვლა; პაციენტის ასაკობრივი ნორმების გათვალისწინება ფსიქიური პრობლემების მქონე პაციენტებთან ურთიერთობისას; ფსიქიატრიული პაციენტის მოვლისას წარმოქმნილი პრობლემებზე ადექვატური რეაგირება და ფსიქიატრიული პაციენტის შესაბამისი მოვლა; კრიტიკულ სიტუაციებში საკუთარი თავის მართვა; პირველადი გადაუდებელი დახმარება სუნთქვის, სისხლის მიმოქცევის და ცნობიერების დარღვევისას; პაციენტის აღმსარებლობის მიუხედავად მისი მოვლა ადამიანური ღირსების შესატყვისად; საკუთარი სამუშაო გეგმის შედგენა და მისი შეთანხმება სამედიცინო გუნდის წევრების სამუშაო გეგმასთან;</p> <p>დაქვემდებარებული ადამიანური რესურსების ეფექტური სწავლება-განათლება, მართვა, ფუნქციების ადექვატური დელეგირება;</p> <p>სკრინინგ-ტესტების, ადექვატური პრევენციული ღონისძიებების ანდა იმუნოზაციის წარმოება;</p> <p>ჯანმრთელობის ხელშეწყობა ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის გზით.</p>
	<p><b>აქვს უნარი:</b></p> <p>პრობლემის ამოცნობა, მათი გადაჭრისათვის სათანადო მონაცემების იდენტიფიცირება და ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, ასევე დასაბუთებული დასკვნების გაკეთება;</p> <p>დროულად ამოიცნოს პაციენტის მოვლის/მართვის გეგმის ხელისშემშლელი, დამაბრკოლებელი გარემოებები და</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

<p><b>დასკვნის გაკეთების უნარი</b></p>	<p>დამოუკიდებლად ან სხვისი დახმარებით აღმოფხვრას ისინი; შესაბამისი კორექტივები შეიტანოს მოვლის/მართვის გეგმაში და ცვლილებები შეათანხმოს სამედიცინო გუნდის დანარჩენ წევრებთან; ამოიცნოს პაციენტის ფიზიკური და ფსიქოსოციალური ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორები და სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობები, გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები და იმოქმედოს სამედიცინო გუნდთან შეთანხმებულად, გადაუდებელი საჭიროებების შემთხვევაში კი - დამოუკიდებლად.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p><b>აქვს უნარი:</b>  იდებისა და ინფორმაციის სტრუქტურირებულად და თანმიმდევრულად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინფორმაციის გამოყენებით. პროფესიული კომპეტენციის ფარგლებში აუცილებელი და გამოსაყენებელი ინფორმაციის, შინაგანაწესის, ხელშეკრულებისა და სხვა საჭირო ინფორმაციის გამოყენება; პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე ზეპირი კონტაქტის, მოსმენილის გააზრების და საჭიროებისას დაზუსტების; უნარი შესწევს მშობლიურ და უცხოურ ენებზე ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია დაამყაროს სამედიცინო პერსონალთან, ჯანდაცვისა და სოციალურ მუშაკებთან, პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან, თუ ინდივიდთა ჯგუფებთან საექთნო საქმის ეფექტური განხორციელების მიზნით;  უნარი შესწევს გადასცეს და გაუზიაროს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია სპეციალისტებსა და არასპეციალისტებს. აქვს პრეზენტაციის უნარი.  იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით;  კრიტიკული სიტუაციის შეფასების და ინფორმირების; პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის; საჭიროების შემთხვევაში ინფორმაციის ექიმისთვის მიწოდების; პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის; დანიშნულების შესრულების შესახებ დროული ინფორმაციის მიწოდების; დოკუმენტაციის კვალიფიცირებული წაკითხვის და ინფორმირების; შეუძლია პაციენტის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის და მათთვის სხვადასხვა დაავადებისას მოვლის თავისებურებების გათვალისწინების სწავლების; მედიკამენტური დანიშნულების დარღვევის შემთხვევაში სწრაფი ინფორმირების; ინგლისურ ენაზე მარტივი კომუნიკაციის; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების; სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებთან ერთნაირად კეთილგანწყობილი დამოკიდებულების.</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

<p style="text-align: center;"><b>სწავლის უნარი</b></p>	<p><b>აქვს უნარი:</b> საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა ცვალებად და გაუთვალისწინებელ ვითარებაში; შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოიძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას; საჭიროების შემთხვევაში მითითებული ლიტერატურის მოძიების, ინფორმაციის მოპოვების და ცოდნის გაღრმავების; საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინგლისური ენის გამოყენებით ხელმისაწვდომი გახადოს თავისთვის თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა; კერძო სწავლების საფუძვლების ცოდნა აძლევს პროფესიული წინსვლის შესაძლებლობას; შემდგომი სწავლის შესაძლებლობებისა და გადაწყვეტილებების მიღების.</p>
<p style="text-align: center;"><b>ღირებულებები</b></p>	<p><b>გააჩნია:</b> პროფესიული საქმიანობისათვის დამახასიათებელ ღირებულებებთან თავისი და სხვათა დამოკიდებულებების შეფასება და სხვებისთვის გაზიარება; მოქმედებს საექთნო საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ადგილობრივი საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად; მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადექვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს; აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.</p> <p>პაციენტებთან, მათ უახლოეს მიკროსოციალურთან და კოლეგებთან ურთიერთობისას ეთიკური ნორმების დაცვის უნარი; პროფესიული პრობლემების წამოჭრისას გულისხმიერი დამოკიდებულების უნარი; პალატიური მოვლისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება; გარემოს სანიტარული მდგომარეობის შეფასებისა და პრევენციის უნარები; რელიგიური მიკუთვნებულობის მიუხედავად კრიტიკული სიტუაციებისას პაციენტის მიმართ კეთილგანწყობა.</p>



ა(ა)იპ - საზოგადოებრივი კოლეჯი  
„ადამიანი და ბუნება“

### თავი VII პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა ან გაუქმება

ისეთი გამონაკლისი შემთხვევების დროს, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის გაუქმებას ან შეცვლას, დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიულ სტუდენტთა სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ალტერნატიული პროგრამის შეთავაზებით (აქამდე მიღებული კრედიტების აღიარებით) ან ხელი შეუწყოს მათ მობილობას; პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში გაფორმებული გვაქვს თანამშრომლობის მემორანდუმები - შპს მე-3 სამედიცინო პროფესიული ცენტრთან და ქვერიცვალეების დედათა მონასტერთან არსებულ პროფესიულ კოლეჯთან (იხ. დანართი).

### თავი VIII პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესი

პროგრამაში გაწერილი თითოეული სასწავლო კურსის დასრულებისას პროფესიული სტუდენტები შეავესებენ კითხვარს (იხ. დანართი). მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გატარდება შესაბამისი ღონისძიებები. შესაძლოა საჭირო გახდეს პროგრამის მოდიფიცირება.

### თავი IX პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი

**ჯგუფი:** - ლალი ზაუტაშვილი - ა(ა)იპ - „ადამიანი და ბუნება“ გამგეობის თავმჯდომარე/დირექტორი;

- ლია ბულაძე - ექიმი-პედაგოგი;

- მერი ვაშაკიძე - ექთანი-პედაგოგი;

- ლალი ანდრიაშვილი - მედ.დოქტორი/ოჯახის ექიმი.